უფასო

ჩემი გაზეთი

25 აპრილი
2016 წელი

№3 (13)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი

ფინანსური ლიზინგი

როგორც ცნობილია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ფინანსური ლიზინგის დახმარებით ახლახან შეიძინა სამი ერთეული ტექნიკა: გრეიდერი, ტრაქტორი და დამტკეპნი. ამან დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია სოციალურ ქსელში. ამ თემით „ჩემი გაზეთის“ გუნდი დაინტერესდა და გადაწყვიტა გასაუბრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელს – ბატონ ირაკლი გეგეშიძეს საკითხის არსში უკეთ გაცნობისა და მოსახლეობამდე სწორი ინფორმაციის მიტანის მიზნით.

ფინანსური ლიზინგი ლიზინგის ერთ-ერთი ფორმაა, რაც ინგლისური სიტყვის “ლეასე”-ის შინაარსიდან გამომდინარე ხელშეკრულებას გულისხმობს, რომლის საფუძველზეც ერთი მხარე მეორესგან იღებს აქტივს როგორც მატერიალურს, ასევე არამატერიალურ სარგებლობაში. ფინანსური ლიზინგის შემთხვევაში ლიზინგის მიმწოდებელი გამოყოფს ფინანსურ სახსრებს ლიზინგით მოსარგებლისთვის აქტივების შესაძენად, მათ შორის, მაგალითად, ტექნიკის. ლიზინგით მოსარგებლე თვითონ ირჩევს ლიზინგის საგანს და განკარგავს მას ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. ლიზინგის მიმწოდებელი აქტივის ღირებულების ანაზღაურებისა და ასევე თავისი პროცენტული ინტერესის მიღების შემდეგ, აქტივს გადასცემს საკუთრებაში ლიზინგით მოსარგებლეს.

მსოფლიო ეკონომიკურ და განსაკუთრებით ფინანსურ პრაქტიკაში ლიზინგი ძალზე გავრცელებული ფორმაა, რაც ყოველმხრივ მომგებიან და ეფექტურ ოპერაციად ითვლება, ვინაიდან ლიზინგის მიმღები, მიუხედავად სახსრების უქონლობისა, წინასწარ იღებს იმ საგანს, რომელიც მას სჭირდება თავის საქმიანობისთვის. გამყიდველი კი ყიდის თავის პროდუქტს და სესხითა თუ განვადებით გადაცემისგან განსხვავებით სრულად იღებს ანაზღაურებას. ლიზინგის მიმწოდებელი კი მათ შორის მედიატორის როლში გამოდის
და თვითონაც იღებს
მოგებას პროცენ-
ტული ანაზღაურების
სახით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტმა ფინანსური ლიზინგის დახმარებით შეიძინა სამი ერთეული ტექნიკა: გრეიდერი, ტრაქტორი და დამტკეპნი. პირდაპირი წესით ამ ტექნიკის შეძენა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სამი წლის განმავლობაში სათანადო ფინანსების დაგროვებით, ან თითო წელს თითო ტექნიკის შეძენით. რეალურად სამი წლის განმავლობაში შეუძლებელი იქნებოდა შიდა გზების მოვლა-პატრონობა სათანადო დონეზე კომპლექსურად - ცალ-ცალკე თითოეული ტექნიკის გამოყენება ფაქტობრივად შედეგს ვერ მოგვცემდა.

ტენდერით ტექნიკის დაქირავებისა ან კონტრაქტორის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება ორჯერ და მეტჯერ იზრდება. საკუთარი ტექნიკა საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტს მოთხოვნის მიხედვით მობილურად განახორციელოს სამუშაოები: პირველ რიგში ყველაზე ძნელ მონაკვეთებზე მიიმართოს ძალისხმევა, მაგრამ შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, შეწყვიტოს სამუშაოები და სხვაგან გადაიყვანოს ტექნიკა, როდესაც კონტრაქტორი ასეთ მობილურობას ვერ უზრუნველყოფს. ამასთანავე, როგორც წესი, ტექნიკა, რომელსაც დროებით აქირავებენ ან რომლითაც კონტრაქტორები სარგებლობენ, ძალზე ამორტიზირებულია და ხშირად გამოდის მწყობრიდან.

ფინანსური ლიზინგის გაფორმებისას პირველადი შენატანისა და შემდგომში გადასახდელი თანხების მობილიზებისას, მუნიციპალიტეტის გამგეობა მთლიანად გამოიყენებს საკუთარ შემოსავლებს და დაზოგილ თანხებს, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ლიზინგის ხელშეკრულების აღსრულებას საფრთხე არ დაემუქრება და საბოლოო ჯამში, ვადის ამოწურვის შემდეგ, ტექნიკა გამგეობის საკუთრება გახდება. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ტექნიკა დღეს სალიზინგო კომპანიის საკუთრებად რჩება, ის მთლიანად გამგეობის განკარგულებაშია და მუშაობს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. ამასთანავე, გარანტიის ფარგლებში, სალიზინგო კომპანია უზრუნველყოფს მის საგარანტიო მომსახურეობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი გამგეობის პიონერული ინიციატივით, უახლოესი წლების განმავლობაში სულ ახალი, თანამედროვე ტექნიკის საშუალებით შესაძლებელი გახდება მთლიანად

მოხდეს შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, ჩატარდეს კიუვეტებისა და არხების მოწყობა-გაწმენდის სამუშაოები და ასევე ოპერატიულად მოხდეს სტიქიის შედეგად წარმოქმნილი ჩამონაშალებისაგან გზების გაწმენდა. ასევე საინტერესოა, რომ ამით ათამდე ჩვენი მოქალაქეც დასაქმდა და რამდენიმე ოჯახს შემოსავალი გაუჩნდა.

ისეთი სერვისით სარგებლობა, როგორიცაა ფინანსური ლიზინგი, ადასტურებს ჩვენს გადახდისუნარიანობას, მუნიციპალიტეტის ფინანსურ სიჯანსაღეს და შესაძლებლობას იძლევა მოზიდულ იქნას უფრო მეტი კერძო ინვესტიციები მუნიციპალიტეტში.

მარიამ ოქროჭელიძე

„ჩემი გაზეთის“ გუნდი ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2015 წლის შესრულებული სამუშაოების, ბიუჯეტის დაგეგმვის, გამგეობისა და საკრებულოს მუშაობის, 2016 წლის გეგმებსა და სხვა საკითხებზე სასაუბროდ საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გრიგოლ მაჩიტაძეს გავესაუბრეთ.

ინტერვიუ საკრებულოს თავმჯდომარესთან

– გვესაუბრეთ როგორ ხდება წლის სამუშაოს დაგეგმვა.

– მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომავალი წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს სხდომაზე მტკიცდება წლის ბოლოს. სამუშაო გეგმის შედგენისას, ძირითადად, ვხელმძღვანელობთ იმ პრიორიტეტებით, რომელიც მუნიციპალიტეტს აქვს განსაზღვრული განსახორციელებლად. ის მოიცავს ინფრასტრუქტურული, სოციალური, სკოლამდელი განათლებისა და ახალგაზრდობის პრობლემების მოგვარებისათვის საჭირო საკითხებს. მიმდინარე წელს დაგეგმილია 21 საკითხის განხილვა, მათი მომზადება წარმოებს გამგეობის სამსახურებისა და საკრებულოს კომისიების ერთობლივი მუშაობით, ხოლო მომზადების მიმდინარეობას აკონტროლებს საკრებულოს აპარატი.

– რა საკითხები შემოგთავაზათ 2015 წელს გამგეობამ დასამტკიცებლად და თქვენთვის რომლები იყო პრიორიტეტული? წლის ბოლოს ხომ არ გამოიკვეთა განსხვავებული საკითხები, რომლებიც პრიორიტეტულ პროექტთა სიაში არ იკავებდა ადგილს.

– პირველ რიგში უნდა მოგახსენოთ, რომ გამგეობის მიერ საკრებულოსათვის წარმოდგენილ საკითხებს დიდ ყურადღებას ვაქცევთ, მათი განხილვა, პირველ ყოვლისა, ხდება შესაბამის კომისიებში, რის შემდეგ მოსასმენად გადის საკრებულოს სხდომაზე. გამგეობის მხრიდან პრიორიტეტების გეგმა ახლავს იმ წლის ბიუჯეტის პროექტს, რომელი წლის ბიუჯეტიც მტკიცდება საკრებულოს სხდომაზე. მასში მკაფიოდ არის განსაზღვრული სოციალური თუ ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციებასაც აპირებს მუნიციპალიტეტის გამგეობა მომავალი წლისათვის. ასეთი პრიორიტეტების დოკუმენტი დამტკიცებული იყო 2015 წლისათვისაც. თუმცა წლის განმავლობაში წარმოიშვება ხოლმე ისეთი საკითხები, რომელთა ოპერატიული გადაწვეტა მუნიციპალიტეტისათვის სისხლხორცეული საქმეა. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ლიზინგის თემა, რის გამოც გამგეობამ და საკრებულომ ოპოზიციის მხრიდან უამრავი კრიტიკა მივიღეთ. საქმის კეთებას, რაოდენ სასიკეთო საქმეც უნდა იყოს იგი, ყოველთვის მოჰყვება აზრთა სხვადასხვაობა. ამიტომ, არც ერთმა ხელისუფალმა უარი არ უნდა თქვას ისეთი გადაწვეტილების მიღებაზე, რომელიც მუნიციპალიტეტსა და მის მოსახლეობას დადებითად წაადგება. გამგეობამ ჩათვალა, მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის აუცილებელი იყო სპეცტექნიკის შეძენა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მცირე დანახარჯებით მიგვეღო უფრო მაღალი ეფექტი და სერიოზულად შეგვძლებოდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გზებისა და სხვა ნაგებობების ოპერატიული და ხარისხიანი შეკეთება. ვინაიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს აღნიშნული ტექნიკის შესაძენად მთლიანი თანხა არ გააჩნდა, მუნიციპალიტეტის გამგეობა შემოვიდა საკრებულოში წინადადებით, მიგვეცა გამგებლისათვის თანხმობა გამოეცხადებინა ტენდერი და ტენდერში გამარჯვებულ იურიდიულ პირთან გაეფორმებინა სალიზინგო ხელშეკრეულება. საკრებულომ მიზანშეწონილად ჩათვალა ხმათა უმრავლესობით დათანხმებოდა გამგეობის წინადადებას. დღეს ტექნიკა მიღებულია და აქტიურად მუშაობს სოფლებში ადგილობრივი საუბნო გზების მოსაწესრიგებლად.

– გვესაუბრეთ 2016 წლის ბიუჯეტზე.

– ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დამტკიცება საკრებულოს ერთ-ერთი უმთავრესი უფლებამოსილებაა და მის განხილვაში საკრებულოს ყველა წევრი აქტიურადაა ჩართული. გამგეობამ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში კანონმდებლობით დაცულ ვადებში წარმოადგინა. საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ განიხილა იგი და უმნიშვნელო შენიშვნებით დაუბრუნა გამგეობას, ხოლო მათ მიერ საბოლოოდ შესწორებული ვარიანტი დამტკიცებული იქნა 2015 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე.

2016 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში, წინა წლებთან შედარებით, არის გარკვეული ცვლილება. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება საშემოსავლო გადასახადს, თუ კი წლების განმავლობაში საშემოსავლო გადასახადი მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტის შევსების წყარო იყო, 2016 წლიდან მისი ნაწილი რჩება თვითმართველობის ბიუჯეტში. მიმდინარე წლისათვის აღნიშნული გადასახადის სახით დაგეგმილია 500 ათასი ლარის მობილიზება.

2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული პირველადი ვარიანტი 300 ათასი ლარით აღემატება 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის პირვანდელ ვარიანტს. სიტყვა „პირვანდელი ვარიანტი“ აქ შემთხვევით არ არის გამოყენებული, რადგანაც ბიუჯეტი მტკიცდება დეკემბრის თვეში და ამაში გათვალისწინებული არ არის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები და სოფლის პროგრამებისათვის გათვალისწინებული და-

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი 1 გვ.

ფინანსება, რომელიც წლის დასაწყისისათვის მთავრობის დადგენილებით გამოეყოფა მუნიციპალიტეტს და მხოლოდ ამის შემდეგ აისახება ადგილობივ ბიუჯეტში. მიმდინარე წლისათვის ამ მიმართულებითაც სერიოზული წინსვლაა, როგორც ინფრასტრუქტული პროექტებისათვის, ასევე სოფლის პროგრამებისათვის გათვალისწინებულ დაფინანსებაში.

– 2016 წელს რომელი პრიორიტეტული საკითხები გამოიკვეთა და შარშანდელთან შედარებით რა საკითხებია განსხვავებული?

– 2016 წელს მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია.
- მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება.
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება.
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა.
- სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.
- სოციალური პროგრამების დაფინანსება.

მართალია, საკმაოდ ამბიციური ჩამონათვალია, მაგრამ, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ გზების მშენებლობის კუთხით ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკმაო პროექტები განხორციელდა, რომელთა დასრულება ახლაც მიმდინარეობს. ამ მხრივ ცალკე აღნიშვნის ღირსია ქალაქის ტერიტორიაზე განხორციელებული 17 ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი. როგორც აღვნიშნე, მიმდინარეობს შიდა გზების რეაბილიტაცია საკუთარი ტექნიკის დახმარებით. ამჟამად სამუშაოები ტარდება პირველ და მეორე ობჩის ტერიტორიაზე, უახლოეს პერიოდში ხანსა და სხვა სოფლებშიც მოწესრიგდება.

ცალკე უნდა გამოვყოთ საბავშვო ბაღების საკითხი. გასულ წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 საბავშვო ბაღს, რაზეც დაიხარჯა თითქმის ნახევარი მილიონი ლარი. მიმდინარე წელს კი დაგეგმილია აშენდეს 5 ახალი საბავშვო ბაღი. აღნიშნული მშენებლობა განხორციელდება მუნიციპალური განვითარების პროექტით და დაიხარჯება ერთ მილიონ ლარზე მეტი. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისათვის მიმდინარე წელს პირველად გამგეობის მიერ გამოყოფილი იქნა 500 ათასი ლარი, რამაც მოგვცა საშუალება, რომ დამატებით ორი პროექტი დაფინანსებულიყო მუნიციპალიტეტში.

– როგორ ხდება გამგეობის საქმიანობის მონიტორინგი. როგორ შეაფასებთ გამგეობის 2015 წლის მუშაობას, (რა სამუშაოები დარჩა 2015 წელს შეუსრულებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში როდის მოხდება პრობლემის მოგვარება).

– გამგეობის საქმიანობის მორიტორინგი საკრებულოს მიერ ძირითადად ხორციელდება შესაბამისი კომისიების მეშვეობით. საკრებულოს კომისიები თავიანთი სამუშაო გეგმიდან გამომდინარე აწარმოებენ გამგეობის სამსახურების საქმიანობის ანგარიშების მოსმენასა და შედეგებიდან გამომდინარე აკეთებენ შესაბამის დასკვნებს. ცალკეული სამსახურების ანგარიშების მოსმენა ხდება საკრებულოს სხდომებზე. მარტის თვეში მოხდა 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა, როგორც საფინანსო საბიუჯეტი კომისიის, ისე საკრებულოს სხდომაზე. რაიმე სერიოზული შენიშვნები საკრებულოს წევრების მიერ არ გამოთქმულა. ასევე წლის ბოლოს იქნა განხილული გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში. ამჟამად მზადდება გამგეობის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის მასალების შესწავლა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2015 წელს გამგებლის ანგარიში მოსმენილი იქნა საკრებულოს გასვლით სხდომაზე და მასში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც სამსახურების ხელმძღვანელები, ასევე გამგეობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები, საზოგადოების წარმომადგენლები. ვფიქრობთ, გამგებლის ანგარიშის განხილვა წელსაც ასეთი მაშტაბით ჩავატაროთ, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს მიეცეთ შესაძლებლობა პირადად მიიღონ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის პირველი პირიდან, და იქვე დასვან კითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

როგორც ვხედავთ, მიმდინარე წელი საკმაოდ დატვირთულია, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტებით, ასევე პოლიტიკური კუთხითაც, ოქტომბერში ხომ საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული.

იმედი მაქვს, საკრებულოს და გამგეობის ერთობლივი მუშაობა კარგ შედეგს მოგვცემს, რომელიც წაადგება, როგორც ხალხს, ასევე ხელს შეუწყობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის წინსვლას.

ანა ძორიძე

15-16 მარტს გაიმართა შეხვედრა იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამის ბავშვთა დაცვის ჯგუფთან, რომელიც ბაღდათის მუნიციპალურ დონეზე შედგა. ინიციატივა ეფუძნება ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების კონცეფციას, რომელიც მოისაზრებს ოთხ ძირითად ინტერვენციას: 1) თემის მობილიზება და ცნობიერების ამაღლება; 2) რეპორტირებისა და რეფერირების მექანიზმების გაძლიერება; 3) მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერა; 4) ბავშვთა სასიცოცხლო უნარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა.

დავიცვათ, ბავშვები!

ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების ჯგუფი აერთიანებს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ სტრუქტურებს, რომლის მიზანია აამაღლოს ცნობიერება ბავშვთა დაცვის საკითხებზე, გააძლიეროს რეფერირების სათემო მექანიზმები ბავშვთა ინტერესების დასაცავად, დაეხმაროს ყველაზე მოწყვლად ბავშვებსა და ოჯახებს. ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების ჯგუფის წევრები წარმოადგენენ სხვადასხვა სტრუქტურებს (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ადგილობრივი პოლიცია, ადგილობრივი ეკლესია, ადგილობრივ დონეზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული ჯგუფები, მშობელთა ჯგუფები და ა.შ.), რომელთა საერთო მიზანსაც წარმოადგენს ბავშვის უფლებათა დარღვევის პრევენციისა და დაცვისთვის შეიქმნას მდგრადი სათემო რესურს ჯგუფი.

ბავშვთა დაცვის და ადვოკატირების ჯგუფი წარმოდგენილია ორ დონეზე:

1. ბავშვთა დაცვის და ადვოკატირების მუნიციპალური ჯგუფი – აერთიანებს თემის დონეზე მოქმედ სტრუქტურებს, რომლის წევრებიც არიან თითოეული თემის საგანმანათლებლო, სოციალური, ჯანდაცვის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომელთა პრიორიტეტია ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობა.

2. ბავშვთა დაცვის და ადვოკატირების სამხარეო ჯგუფი – აერთიანებს მუნიციპალურ ან უფრო ფართო არეალში მოქმედ სტრუქტურებს. ჯგუფის წევრები არიან მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, როლებიც ოპერირებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ბავშვთა საკითხზე მომუშავე მუნიციპალური დონის სახელმწიფო სამსახურები, და ვანი-ბაღდათის ეპარქია;

ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების მუნიციპალური ჯგუფი არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებს ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების ჯგუფის სტრუქტურაში. ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების მუნიციპალური ჯგუფი აკეთებს თემის დონეზე მოწყვლადი ბავშვების და ოჯახების გამოვლენას მათი დახმარების მიზნით, ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტების და გარემოებების

გამოვლენას და სამხარეო ჯგუფის ინფორმირებას, წამოწევს ბავშვთა დაცვის საკითხებს სამხარეო ჯგუფის წინაშე. ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების სამხარეო ჯგუფი ეხმარება მუნიციპალურ ჯგუფს ბავშვთა უფლებების დარღვევების იდენტიფიცირებაში, მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენაში, გამოვლენილი მოწყვლადი ბავშვების და ოჯახების მხარდაჭერაში, რესურსების მობილიზებაში და წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებს ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების ჯგუფის სტრუქტურაში.

ბავშვთა დაცვისა და ადვოკატირების სამხარეო ჯგუფი წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით: სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი – მადონა ბასილაძე; იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგი – ლალი ცხვედიანი; ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის შ.შ.მ. ბავშვთა დღის ცენტრების კოორდინატორი - ნინო გელაშვილი; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი – ნოდარ ჯიქია; სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაღდათის რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკი – ელენე ჩხეიძე; ბაღდათის მუნიციპალიტეტის შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი – ლიანა გიორგიძე; ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინკლუზიური განათლების სპეციალისტი – ნატო დოგრაშვილი; შ.ს.ს. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, ბაღდათის რაიონული სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის კაპიტანი – იოსებ მამუკაშვილი; ბაღდათის ა.(ა).ი.პ. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი – ნინო გრძელიძე; ბაღდათის ა.(ა).ი.პ. ბაგა-ბაღების გაერთიანების ინკლუზიური განათლების

სპეციალისტი – თამარ კიკნაველიძე; ბაღდათის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის კოორდინატორი – ნინო მშვილდაძე; INER ჯორჯიას ქუთაისის ფილიალის მთავარი მეთოდისტი – ნინო ჟღენტი; საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში – ნატო მაჩიტაძე; არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – ია თევდორაძე; ვანი -ბაღდათის ეპარქიის არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე).

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური დაჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი ლიანა გიორგიძე

განცხადება

2016 წლის 13 ივნისს, 12:00 საათზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: წერეთლის ქუჩა 9) გაიმართება წაბლარი ჰესის მშენებლობისა და ოპერირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს, მდინარე წაბლარისწყალზე 24 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. ბაღდათი, წერეთლის ქუჩა 9;
- შპს GeorgianGreenPowe“-ის ოფისში - ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 34, პიქსელ ბიზნეს ცენტრი, მე-9 სართული;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს Georgian Green Power-ის ადმინისტრაცია

სოციალური სამსახურის კეთილი ხელმძღვანელი

ჩვენი ქვეყნის გონივრული გადაწყვეტილებაა ევროპული ორიენტაცია, რაც ხალხის კეთილდღეობის უფრო გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი არის ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი სოციალური მდგომარეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით საგრძნობლად შეიმჩნევა პოზიტიური ძვრები შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის წინსვლის საქმეში. სწორედ აღნიშნული საკითხების სრულფასოვნად მოგვარებისათვის გამგეობაში შექმნილია სოციალური სამსახური.

ჩვენი მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური ამ მიმართულებით მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას. ამ სამსახურს ხელმძღვანელობს თავისი პროფესიის ერთგული, დინჯი და სრულფასოვანი პიროვნება ქალბატონი ლიანა გიორგიძე. ბევრისგან მომისმენია ამ პიროვნებისა და მისი სამსახურის თანამშრომლების პასუხისმგებლობის შესახებ.

ბუნებრივია, ამ სამსახურს მიმართავენ ის პიროვნებები, რომელთაც სოციალური თვალსაზრისით თანადგომა სჭირდებათ. ისინი ეხმარებიან მათ. პრობლემის მოსაგვარებლად შუამდგომლობით ხელმძღვანელობას მიმართავენ, თანხმობის შემთხვევაში, ყველაფერს ოპერატიულად აწესრიგებენ.

პირადად მე მომიხდა ამ სამსახურის შეწუხება დის ჯანმრთელობის გაუარესების გამო და ვითხოვდი სათანადო დახმარებას.

ქალბატონმა ლიანამ გულისყურით მომისმინა, მხარი დამიჭირა და, გამგეობის ხელმძღვანელების ნებართვით, მის დაქვემდებარებაში არსებულმა სოციალურმა სამსახურმა გამიწია სათანადო დახმარება. მე დავინახე მათში უდიდესი გულისხმიერება, ყოველგვარი ანგარების გარეშე და ამისთვის პირადად ქალბატონ ლიანას და მის სამსახურს დიდ მადლობას ვუხდი. კვლავაც ვუსურვებ მათ პროფესიული ამოცანების შესრულების საქმეში წარმატებულ და ბედნიერ მომავალს.

როკითის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შოთა გორგოძე

ვაჩსიხელი მეუხნე

„ჩემი გაზეთის“ გუნდი ეწვია სოფელ ვარციხის მკვიდრს – გენო ჩუბინიძეს, რომელსაც აქვს ყვავილების სანერგე მეურნეობა. ბატონი გენო პროფესიით საზოგადოებრივი კვების ინჟინერ-ტექნოლოგია. მან თავისი საქმიანობა 90-იანი წლებიდან მცირე მეურნეობით დაიწყო, დაახლოებით 3 წლის წინ გააფართოვა და, გარდა ყვავილებისა, მას ხეხილისა და ვაზის ნერგებიც გამოჰყავს.

ბატონი გენოს სათბურში შეხვდებით შემდეგ მცენარეებს: ვარდების სხვადასხვა სახეობას, ფინიკის პალმას, ბერძნულსა და ქართულ ბზას, კამელიას, ინდიკებს, დეკორატიულ ტუიებს, წიწვოვანი მცენარეების რამდენიმე სახეობას, მაგნოლიებს.

მას გამოყავს ვარდების რამდენიმე სახეობა: მინიატურული ვარდების დაახლოებით 10 ჯიში, ეზოსა და დეკორატიული გამწვანების 20-მდე სახეობა, ეზოს ვარდების 5-მდე ახალი ჯიში. ვარდების ეს უკანასკნელი სახეობა, ბატონი გენოს თქმით, მხოლოდ იმ კერძო სექტორებს შეიძლება ჰქონდეთ, რომლთაც მისგან შეიძინეს ნერგები.

ყვავილების ჯიშები, ძირითადად, მას საზღვარგარეთიდან გამოწერით ჩამოაქვს, შემდეგ თავად ახდენს მათ ქართულ ჯიშებად გარდაქმნას. ყვავილების გამოყვანა ბატონი გენოს მეურნეობაში ხდება კონტეინერული სისტემით: პირველ ეტაპზე ნერგი საჩითილეში გამოყავთ, რომელიც გადააქვთ ჯერ პატარა კონტეინერში, შემდეგ კი – დიდში.

გენო ჩუბინიძეს გამოყავს ასევე ვაზის ნერგი, კერძოდ, საადრეო სუფრის ყურძნის ჯიში, რომელზეც დიდი მოთხოვნაა.

გარდა ყვავილებისა და ვაზის ნერგებისა, მეურნეობაში ბატონ გენოს გამოყავს ხეხილის ნერგი. ჯერ ეს არ ხდება კონტეინერული სისტემით, თუმცა ის წელსვე გეგმავს ხეხილის ნერგის ასეთი სისტემით გამოყვანას. ამ შემთხვევაში მყიდველს შეეძლება, წელიწადის ნებისმიერ დროს, შეიძინოს და დარგოს ხეხილის ამა თუ იმ სახეობის ნერგები.

ბატონი გენოს მეურნეობაში გამოყვანილი ნერგების რეალიზაცია ხდება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ შევარდნაძეს თავისი გარდენიასთვის აქედან მიაქვს ყვავილების ნერგები. ასევე 2008–2009 წლებში 450 ძირი მსხლისა და ტყემლის სხვადასხვა ჯიში შეიძინეს მისგან და დარგეს საგურამოში.

ბატონი გენო ჩუბინიძეს არანაირი სპეციალური განათლება არ მიუღია აღნიშნულ სფეროში. ეს მისი თვითნასწავლი პროფესიაა. ყველა დაგვეთანხმებით, რომ ასეთი მეურნეობის შექმნისთვის დიდი შრომა და ცოდნაა საჭირო. ამ კარგ საქმეში ბატონ გენოს ოჯახის მხარდაჭერა აქვს. წარმატებებს ვუსურვებთ მას.

მარიამ ოქროჭელიძე

პირველი შეკვეთა როხის სანერგე მეურნეობაში

მკითხველმა როხის სანერგე მეურნეობის შესახებ „ჩემი გაზეთის“ მეშვეობით გაიგო. როგორც ვიცით, სოფელ როხში ვაზის სანერგე მეურნეობა ჯერ კიდევ 1964 წელს არსებობდა და იმერეთის რეგიონს სანერგე მასალით ამარაგებდა, შემდეგ იგი განადგურდა და 2013 წლის მაისიდან დაიწყო მისი აღდგენა. ამჟამად სანერგეში მიმდინარეობს ვაზის ნერგის მყნობის პროცესი – მიღებულია პირველი შეკვეთა და სანერგე მეურნეობამ, დაახლოებით, 120 000 ძირი ცოლიკაურის, ოცხანური საფერეს, ციცქას, კრახუნასა და მგალობლიშვილის ნერგი უნდა დაუმზადოს შემკვეთს. სანერგესათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს დასაწყისია და შემდგომში მეტი შეკვეთის მიღებას ვარაუდობენ.

ამჟამად სანერგე მეურნეობას 6 ჰა ფართობი უკავია. მომავალში ტერიტორიის გაფართოება იგეგმება. წინ მიდის საამქროს მშენებლობის საქმე. რაც მთავარია, უკვე გაკეთებულია სასტრათიფიკაციო კამერა – ოთახი, სადაც მყნობის შემდეგ ვაზის ნერგი ორი კვირის განმავლობაში თავსდება, რათა მოხდეს მისი გამოყვანა (I ეტაპი), ხოლო შემდეგ, მწვანე ნერგის შემთხვევაში, ნერგი გადადის სათბურში, სადაც 45–50 დღე დაყოვნდება და უკვე მზად იქნება ღია გრუნტში დასარგავად. ხდება ასეც, ნერგი სასტრათიფიკაციო ოთახიდან გადის ღია გრუნტში, იზრდება ნიადაგში ფოთოლცვენამდე, ამის შემდგომ კი ხდება მისი იქიდან ამოღება და შესაბამის ადგილას გადარგვა.

აღნიშნულ სანერგე მეურნეობაში ვაზის ნერგები მყიდველს შეუძლია შეიძინოს შედარებით დაბალ ფასებში. როხის სანერგე მეურნეობის საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს ბაღდათის მუნიციპალიტეტში მევენახეობის განვითარებას და ის უნდა გახდეს დასავლეთ საქართველოსთვის ერთ-ერთი პირველი ნერგების მიმწოდებელი. წარმატებებს ვუსურვებთ მის მფლობელებსა და მასში დასაქმებულ ყველა პირს ამ დიდ საქმეში.

მარიამ ოქროჭელიძე

წარმატებული ახალგაზრდები

საქართველოში რამდენიმე წელია ამერიკის შეერთებული შტატების საბჭოები ახორციელებენ მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამას (FLEX - Future Leaders Exchange Program), რომელიც სრულად ფინანსდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. FLEX პროგრამის უპირველესი მიზანია, ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდებს შორის გააღრმავოს ურთიერთგაგება, რაც საშულებას აძლევს ახალგაზრდებს დააკვირდნენ და გამოცდილებაზე დაყრდნობით შეისწავლონ აშშ-ს მთავრობის სისტემა, ამერიკული ცხოვრების სტილი, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, გაეცნონ ამ ქვეყნის კულტურასა და ხალხს, ისწავლონ ამერიკულ სკოლაში და იცხოვრონ ამ ეროვნების მასპინძელ ოჯახთან ერთად ერთი აკადემიური წლის მანძილზე.პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლის მოსწავლეებს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს. მონაწილეები ირჩევიან ღია, შედეგებზე ორიენტირებული კონკურსის საფუძველზე, რომელიც ყოველ შემოდგომას ეწყობა. თითოეულ მოსწავლეს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს, შეუძლია შესარჩევ ტურებში მონაწილეობის მიღება. კონკურსი შედგება სამი ეტაპისაგან:

1. ინგლისურის მოკლე ტესტი
2. თემები ინგლისურად
3. ინგლისურის სტანდარტული ტესტი, თემები, აპლიკაცია და ინტერვიუ.

მოსწავლეებს წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ კონკურსში მონაწილეობის მიღება.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას აღნიშნულ პროექტში. წელს ბაღდათიდან გაიმარჯვა ორმა მოსწავლემ – ანრი აბულაძემ და თათია ღამბაშიძემ. ანრი დიმის №1 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა, ხოლო თათია ამავე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.

ანრიმ და თათიამ გამარჯვებამდე სწორედ ზემოთ აღნიშნული ეტაპები გაიარეს და წელსვე, ზაფხულში, გაემგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისინი ძალიან აქტიური ბავშვები არიან და სხვა მრავალ პროექტსა და ოლიმპიადაში მიუღიათ მონაწილეობა. მაგალითად, ანრი აბულაძე არის ინგლისური ენის ესეს წერის კონკურსისა (Write on) და დებატების ეროვნული ტურნირის გამარჯვებული. ისინი ასევე აქტიურად არიან ჩართულნი არასამთავრობო ორგანიზაცია World Vision-სა და Youth 2 Georgia-ს საქმიანობაში.

„ჩემი გაზეთის“ გუნდი წარმატებას და კიდევ მრავალი გამარჯვების მოპოვებას უსურვებს ანრისა და თათიას.

ანა ქორიძე

ერთი სამსახურის ერთი დღე

კომუნალური გაერთიანება

ჩვენი რუბრიკის „ერთი სამსახურის ერთი დღეს“ სტუმარი ამჯერად ა.(ა).ი.პ. ბაღდათის კომუნალური გაერთიანებაა. როდესაც აღნიშნულ ორგანიზაციის უფროსს – ბიძინა ჯაბიძეს დავუკავშირდით და ნებართვა ვთხოვეთ, გავცნობოდით მისი სამსახურის ერთ სამუშაო დღეს, ის სიამოვნებით დაგვთანხმდა.

ა.(ა).ი.პ. ბაღდათის კომუნალური გაერთიანება მუშაობას დილის 7 საათზე იწყებს. როდესაც მე და ჩემი ოპერატორი აღნიშნულ სამსახურს ვესტუმრეთ, ბატონი ბიძინა თავის თანამშრომლებთან თათბირს მართავდა – იმ დღის სამუშაო გეგმას განიხილავდნენ და სამუშაოს ინაწილებდნენ. კომუნალურ გაერთიანებაში არის შემდეგი სამსახურები: გარე განათებისა და ელექტროგაყვანილობის, დასუფთავების, ინფრასტრუქტურის, სანიაღვრე არხებისა და მელიორაციის, ასევე ტრანსპორტის სამსახური. თითოეულ მათგანს თავისი ხელმძღვანელი ჰყავს.

გარე განათებისა და ელექტროგაყვანილობის სამსახურს ევალება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების მოწესრიგება და მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ადმინისტრაციული შენობის ელექტროგაყვანილობის მოწესრიგება.

დასუფთავების სამსახური მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ასუფთავებს. აღნიშნულ სამსახურში მუშაობენ მუშები და მეეზოვეები. მეეზოვეებს გადანაწილებული აქვთ დასასუფთავებელი ობიექტები და დილიდანვე ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ხოლო მუშები დასუფთავების მანქანებს მიჰყვებიან, რომ დროულად მოხდეს ურნების დაცლა.

ინფრასტრუქტურის სამსახურის მოვალეობაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ობიექტების შეკეთება. მაგ; სკვერებში დასაჯდომი სკამების რეაბილიტაცია, სანაგვე ყუთების შეკეთება და ა.შ.

სანიაღვრე არხებისა და მელიორაციის სამსახურს ევალება სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება. ხოლო ტრანსპორტის სამსახური ახორციელებს დასუფთავების მანქანების გადაადგილების გრაფიკის შედგენასა და ზედამხედველობას.

კომუნალურ გაერთიანებას სამი ერთეული მანქანა ჰყავს, აქედან ორი (ცხრამეტკუბიანი და ხუთკუბიანი) დასუფთავებას ემსახურება. ბაღდათსა და მის სოფლებში ამჟამად 185 ურნაა, აქედან 15 სანაგვე ყუთი დგას კურორტ საირმეში, ხოლო დანარჩენები ქალაქ ბაღდათსა და სოფლებში: ფერსათში, წითელხევში, როხში, ვარციხეში, საიმედოში, დიმში, ობჩაში, დიდველაში, როკითსა და ნერგეეთში. ასევე ერთი ურნა განთავსებულია აფხანოურში. როგორც ბატონმა ბიძინამ გვითხრა, წელს კომუნალურ გაერთიანებას დაემატება 100 ურნა და 2 მანქანა.

აღნიშნული სამსახურის თანამშრომლებმა ცოტა ხნის წინ გადაბელეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხეები. ახლა კი ნაძვებს ათეთრებენ და ამ სამუშაოს აპრილის ბოლოს დაასრულებენ.

რაც ყველაზე მთავარია, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ფინანსური ლიზინგის დახმარებით შეძენილი სამი ერთეული ტექნიკა: გრეიდერი, ტრაქტორი და დამტკეპნი ა.(ა).ი.პ. ბაღდათის კომუნალური გაერთიანების განკარგულებაშია და მათი გამოყენებით წელსვე უნდა მოხდეს შიდა საუბნო გზების მოწესრიგება. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გზების გაწმენდა (მაგ; დიდთოვლობისა და მეწყერის დროს). ამჟამად საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ ობჩაში მიმდინარეობს. გათვალისწინებულია წლის ბოლომდე დანარჩენ სოფლებშიც გზების მოაწესრიგება.

მარიამ ოქროჭელიძე

„ჩემი გაზეთის“ მარტის ნომრის ერთ-ერთ სტატიაში, კერძოდ, „ფერსათის წარსული და აწმყო“ გავიდა დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა სოფელ ფერსათში მცხოვრებ პოეტ დავით ნოზაძეს. მოწოდებული ინფორმაციით, დავით ნოზაძემ ააგო ტაძარი ამავე სოფელში, თუმცა ეს არასწორი აღმოჩნდა. ჩვენ დაგვიკავშირდა პოეტის შვილი და გვითხრა, რომ დავით ნოზაძე ტაძრის მშენებლობის დროს გარდაცვლილი იყო და, შესაბამისად, მასში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ხოლო ბატონი დავითის შვილის – თემურ ნოზაძის ამ დიდ საქმეში შეტანილი წვლილის შესახებ გვესაუბრა ტაძრის მშენებლობის ინიციატორი ბატონი კალისტრატე კახიანი, რომელსაც სოციალური ქსელის საშუალებით დავუკავშირდით. ის ამჟამად იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ჩიკაგოში. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

ფერსათელი მეცენატი

– როდის და რატომ გაგიჩნდათ სურვილი აგეგოთ ფერსათში ტაძარი?

– ბავშვობიდან მინდოდა, რომ ფერსათში ტაძარი ყოფილიყო. თუმცა ვერასდროს წარმომედგინა, რომ მის აშენებას მე წამოვიწყებდი. ზუსტად ვერ ვიხსენებ, თუ როდის გადავწყვიტე, ამ საქმისთვის საფუძველი ჩამეყარა. დაახლოებით ათი წლის წინ ეს ჩანაფიქრი მეუღლეს გავუზიარე და ამავე დროს დავიწყე აქტიური მოქმედებები მისი სისრულეში მოყვანად.

– რა ეტაპები გაიარეთ სანამ მშენებლობას დაიწყებდით?

პირველი ნაბიჯები ეპარქიასთან შეთანხმება, ადგილის შერჩევა და გარკვეული ადმინისტრაციული საკითხების გარკვევა იყო, რამაც სწრაფად და თითქმის უმტკივნეულოდ ჩაიარა, მშენებლობისთვის მზადების ეს ეტაპი მალევე დავასრულეთ. ჩემმა წამოწყებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ეპარქიაშიც და მეუფე ანტონის მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მშენებლობის დროულად დასრულებაში.

– როდის დაიწყო ტაძრის მშენებლობა და რამდენხანს გაგრძელდა იგი?

– 2006 წლის აღდგომის დღესასწაული იყო, როცა ჩემი ჩანაფიქრი გავაჟღერე (თუმცა, როდის დავიწყე ამაზე ფიქრი, როგორც ადრე აღვნიშნე, არ მახსოვს). მალევე შევხვდი მეუფე ანტონს და შევათანხმე სავარაუდო ადგილი და სხვა დეტალები. 2-3 თვეში მშენებლობა დაიწყო. წლის ბოლოსთვის მშენებლობა, ექსტერიერის ქვით მოპირკეთება და გადახურვა დასრულებული იყო. შემდეგ შტატებში წავედი 6 თვით და ამ პერიოდში მშენებლობა შეჩერდა. ჩემი დაბრუნებიდან 2 თვეში შიდა სამუშაოებიც დასრულდა და 2007 წლის 28 აგვისტოს ტაძრის კურთხევა მოხდა. მე ვფიქრობ, მიუხედავად შეფერხებისა, მშენებლობა საკმაოდ სწრაფად დასრულდა.

– ვინ დაგეხმარათ ამ კეთილ საქმეში?

– მშენებლებს დიდ დახმარებას უწევდა ადგილობრივი მოსახლეობა. რაც შეეხება ფინანსურ დახმარებას, მე მიმაჩნდა, რომ, რადგან საქმე ჩემი დაწყებული იყო, მე უნდა მიმეყვანა ბოლომდე, თუმცა რამდენიმე მეგობარმა გამოთქვა სურვილი, ფინანსური მონაწილეობა მიეღოთ ტაძრის მშენებლობაში და საერთო პროექტის დაახლოებით 10% მათ მიერ დაფინანსდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება იყო ჩემთვის. ასევე, ახლახან, ერთმა ადგილობრივმა მოსახლემ – ვალერი წიქორიძემ გამოთქვა სურვილი ტაძარი მოეხატა, რაც საკმაოდ მაღალ დონეზე შესრულდა. ბატონ თემურ ნოზაძეს დიდი წვლილი მიუძღვის: როცა ტაძრის მშენებლობა დასრულდა და მისასვლელი გზის ვარიანტებზე ვმსჯელობდით, მან გამოთქვა სურვილი, რომ თავისი ეზოს ნაწილი დაეთმო. ამით ტაძრის ეზოს დაგეგმარება მკვეთრად შეიცვალა. ბატონი თემური ასევე გვერდით მედგა ყველა საორგანიზაციო საკითხში. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ შტატებში ყოფნის დროს არსენ მსხვილიძეს ვთხოვე ორგანიზება გაეკეთებინა ტაძრის ეზოს გამწვანებისა და მოწყობისთვის. მან არამარტო ორგანიზება გაუკეთა, არამედ, ფინანსურადაც დიდი წვლილი შეიტანა ამ საქმის განხორციელებაში.

ანა ქორიძე

ოლიმპიური დღიურები

21 თებერვალი, 2016 წელი

გათენდა.

დილა ცივი და სუსხიანია. წარბშეკრული ცა დასცქერის დედამიწას.

რა ძნელია ახლა თბილი საწოლის მიტოვება და სკოლაში წასვლა, მაგრამ უნდა წავიდე. გაკვეთილების შემდეგ ჭადრაკშიც უნდა ვიმეცადინო, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ვიბრძვი.

დღეს ჩემი დაბადების დღეა, 13 წლის გავხდი. ძალიან მინდა, დღეს სულ ათიანები მივიღო და ყველა საჭადრაკო პარტია მოგებით დავასრულო...

კი არ მივდივარ, მივფრინავ. არ მიყვარს გაკვეთილებზე დაგვიანება. გვერდით სწრაფად ჩამიქროლა ავტომანქანამ, წყლის წვეთები და მუსიკის ჰანგები ერთდროულად შემომფრქვია: „-ო, რიო, რიო, რიო დე-ჟანეირო“.

გამახსენდა, სერგო მასწავლებელმა გვითხრა, რომ შორეულ ბრაზილიაში წელს გაიმართება ოლიმპიური თამაშები. რიო დე-ჟანეიროსაკენ არის მიპყრობილი მთელი მსოფლიოს მილიონობით სპორტის მოყვარულის გული, სული და მზერა. მის თავზე აღმართული ქრისტეს გრანდიოზული ქანდაკება გახდება მოწმე დიდი, სპორტული დღესასწაულის.

29 თებერვლი, 2016 წელი

ამ ცამეტი წლის მანძილზე ეს მე-4 ოლიმპიადა იქნება. წინა ოლიმპიადები, რასაკვირველია, არ მახსოვს. ამ სპორტული დღესასწაულის შესახებ ჭადრაკის მწვრთნელმა სერგო აკიმჩევმა გვიამბო. რამდენი საინტერესო ამბავი ხდება თურმე ოლიმპიადაზე. თვით მისი დაარსებისა და განვითარების ისტორიაც არანაკლებ საინტერესოა.

2 მარტი, 2016 წელი

ისტორიიდან მახსოვს, ოლიმპიადა ალექსანდრე მაკედონელის დედას ერქვა...

დიდი ხნის წინათ კი, საბერძნეთში იყო ქალაქი, რომელსაც ოლიმპია ერქვა. ოლიმპიაში იკრიბებოდნენ სპორტსმენები და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სირბილში, სიგრძეზე ხტომაში, ჭიდაობაში, კრივსა და შუბის ტყორცნაში. შეჯიბრება 4 წელიწადში ერთხელ იმართებოდა და ოლიმპიადა ერქვა. ოლიმპიადა ოთხ წელიწადში ერთხელ ახლაც იმართება, მაგრამ მას სხვადასხვა ქვეყნის დიდი ქალაქები მასპინძლობენ.

ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიოს ყველა ქვეყნის სპორტსმენები ერთად მონაწილეობენ. გამარჯვებული სპორტსმენების საპატივსაცემოდ, დაჯილდოების დროს, მისი ქვეყნის დროშას აღმართავენ ხოლმე და ჰიმნსაც უკრავენ.

5 მარტი, 2016 წელი

ძალიან ბევრს ვფიქრობ და უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ კაცობრიობის ისტორიაში ოლიმპიური თამაშების დაფუძნება უდიდესი მონაპოვარია.

ჩემი აზრით, ოლიმპიადა გამოავლენს არამარტო ფიზიკურად და სულიერად უძლიერეს ადამიანებს, ამეგობრებს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხს. დამარცხებული მეტოქე გულითადად ართმევს ხელს გამარჯვებულს.

11 მარტი, 2016 წელი

ჩვენმა ბიბილიოთეკამ საჩუქრად მიიღო ოლიმპიური თამაშების ამსახველი უახლესი ლიტერატურა. მე და ჩემი მეგობრები ინტერესით ვეცნობოდით ყველაფერს. მერე თანაკლასელებს მოვუყევით და ისინიც მაშინვე გაცვივდნენ ბიბლიოთეკაში.

14 მარტი, 2016 წელი

დღეს შევადგინე ოლიმპიადის დოსიე:

1. დაბადების დრო - ანტიკური ხანა.
2. დაბადების ადგილი - საბერძნეთი, ქალაქი ოლიმპია.
3. ეროვნება - ინტერნაციონალური.
4. პარტიულობა - უპარტიო.
5. ჰობი - მშვიდობის დაცვა მსოფლიოში.
6. ძირითადი საქმიანობა - სპორტული რეკორდების დამყარება.
7. სპეციალური პრივილეგია - უვიზო გადაადგილება.
8. ძირითადი ატრიბუტები: ოლიმპიური ჩირაღდანი, ხუთრგოლიანი ფერადი ემბლემა, დაფნის გვირგვინი, ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები.

22 მარტი, 2016 წელი

დღეს გულნაზი მასწავლებელმა ფიზიკის საკონტროლო წერაში ათიანი დამიწერა. ზედიზედ სამი პარტია მოვიგე ჭადრაკში, მაგრამ ჩამშხამდა სიხარული. თავზარდამცემი ინფორმაცია გავრცელდა ტელევიზიით. ბელგიაში ტერაქტი მოხდა, უდანაშაულო ადამიანები დაიღუპნენ. შიშისაგან გული შემეკუმშა, ხომ შეიძლება იმ არაკაცებმა ოლიმპიადა ჩაშალონ. ღმერთო, დაგვიფარე! ალბათ, ტერაქტების საშიშროების გამო, რიო დე-ჟანეიროს ოლიმპიადა ვერ ჩატარდება ბრაზილიელებისათვის დამახასიათებელი ზარ-ზეიმით და პომპეზურობით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ოლიმპიადის ჩატარება მსოფლიოს გამარჯვება იქნება ტერორიზმზე.

25 მარტი, 2016 წელი

ისევ ოლიმპიადაზე და მოსალოდნელ შედეგებზე ვფიქრობ...

„ოლიმპიური ჩემპიონი ვარ!“ - მხოლოდ ერთეულებს ხვდებად წილად ამ საამაყო სიტყვების წარმოთქმა. მხოლოდ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული სპორტსმენები ატარებენ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს...

„ო, რიო, რიო, რიო დე-ჟანეირო“, ნეტავ ვიცოდე, რა სიურპრიზებს გვიმზადებ!

26 მარტი, 2016 წელი

დღეს სერგო მასწავლებელმა შემაქო, ეს შენი საუკეთესო პარტია იყოო. მე კი ისევ ოლიმპიადაზე ვფიქრობ და ვნატრობ, ოლიმპიადაზე უფრო მეტმა ქათველმა სპორტსმენმა გაიმარჯვოს, უფრო ხშირად აღმართონ ქართული დროშა და დაუკრან საქართველოს ჰიმნი.

მანანა ხეცურიანი,
ბაღდათის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლა, მე-7 კლასის მოსწავლე.
სპორტული სკოლის მოჭადრაკე.
18 აპრილი, 2016 წელი

„ჩემი გაზეთის“ გუნდი ბაღდათის „საირმეს“ მწვრთნელს – სოსო ქორიძეს გაესაუბრა გუნდის ახალი შემადგენლობისა და რეგიონული ლიგის თამაშზე მათი ასპარეზობის შესახებ.

„საირმე“ „სულორის“ მოლოდინში

– გაიარა თუ არა გუნდმა მეორე წრისთვის მოსამზადებელი პერიოდი და სად?

– მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ ბაღდათში, რადგან საშუალება არ გვქონდა სხვაგან ჩატარების, მაგრამ გავიარეთ ნორმალურად და ბიჭებიც კარგ ფორმაში არიან.

– რა ცვლილებები მოხდა გუნდში. რამდენმა ფეხბურთელმა დატოვა და რამდენი ახალი სახეა. გვიამბეთ დამატებული ფეხბურთელების შესახებ, როგორც ვიცით, რამდენიმე უმაღლეს ლიგაშიც თამაშობდა.

– გუნდი ხუთმა ფეხბურთელმა დატოვა და ამავე რაოდენობით შეივსო. დავიმატეთ ძალიან კარგი თავდამსხმელი ზაურ ხაჭიპერაძე, რომელიც „ტორპედოდან“ მოვიდა. ასევე დავიმატეთ გვეტაძე, ტორაძე ხარაგაულიდან და საერთო ჯამში, კარგი ფეხბურთელებით დავკომპლექტდით და კმაყოფილები ვართ.

– 26 აპრილს პრინციპული და გადამწყვეტი თამაშია ვანის „სულორთან“. როგორია თქვენი და ფეხბურთელების მოლოდინი და განწყობა?

– 26 აპრილს ნამდვილად გადამწყვეტი თამაში გვაქვს. რაც შეეხება ფეხბურთელების განწყობას, საბრძოლოა, ტრავმირებული არცერთი არ არის, ისინი ემზადებიან ისე, როგორც არასდროს, რადგან იციან, რომ გამარჯვებული პირველ ლიგაში მოხვდება. ბიჭებმა ისიც თქვეს, რომ არანაირ პრემიას ავიღებთ, მთავარია მოვიგოთო. ჩემი აზრით კი შანსები 50-50%-ზეა.

– რას ეტყვით გულშემატკივრებს და გვაქვს თუ არა პირველ ლიგაში გადასვლის რეალური შანსი?

– გულშემატკივრებს ვეტყვი იმას, რომ, თუ სურთ ჩვენი გამარჯვება, წამოვიდნენ და უქომაგონ „საირმეს“, რადგან ვანში უამრავი გულშემატკივარი ეყოლება „სულორს“. ბაღდათელთა გულშემატკივრობა სტიმულის მომცემი იქნება ჩვენი ბიჭებისათვის. ჩვენს გუნდის დიდი მხარდამჭერია ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი - ირაკლი გეგეშიძე და შპს „აგრო ჰოლდინგის“ დირექტორი – ირაკლი ნერგაძე. ჩვენ თავს არ დავზოგავთ იმისათვის, რომ პირველ ლიგაში მოვხვდეთ, რაც ყველა სიკეთესთან ერთად ფინანსურ მოგებასაც მოუტანს გუნდს.

ასე რომ, ვეცდებით, დარჩენილი თამაშები წარმატებით დავასრულოთ და გავამართლოთ ბაღდათელთა იმედები და მოლოდინები.

დავით ყიფიანი

ჯულტურული ქრონიკა

8 აპრილს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როკითის საჯარო სკოლაში გაიმართა შეხვედრა მწერალ ცირა ყურაშვილთან. სკოლა აქტიურად მონაწილეობს კულტურულ ღონისძიებებში და ეს საღამოც ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული და სითბოთი სავსე გახლდათ. საღამოზე მწერალთან შესახვედრად თავი მოიყარეს მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, ბაღდათის გამგეობის წარმომადგენლებმა, სოფლის მშრომელებმა, სასულიერო პირებმა... მწერალმა შეკრებილ აუდიტორიას გააცნო თავისი პროზისა და პოეზიის კრებულები. წაიკითხა ნაწარმოებები, რომლებიც აფხაზეთში მოწამეობრივად აღსრულებული ძმის–მღვდელ-მონაზონ მამა ანდრია ყურაშვილის ხსოვნას ეძღვნება. ისაუბრა მამა ანდრიას ბავშვობის, ასევე აფხაზეთის, კომანის ტრაგედიის შესახებ. აღნიშნა, რომ სწორედ ამ რამდენიმე დღის წინ მამა ანდრიას შეუსრულდა დაბადებიდან 50 წლისთავი, დიდია საზოგადოებისა და განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტერესი მისი პიროვნებისადმი, რაც კიდევ ერთი იმპულსი გახდა მისთვის, რათა საზოგადოებას უფრო ახლოს გააცნოს მღვდელ-მონაზონ ანდრია ყურაშვილის ცხოვრება და მოწამეობა. მთარგმნელმა კოტე კიკნაძემ აუდიტორიას შორენა ლებანიძის დოკუმენტური რომანის-,,მანანა ანუა, ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე”- შესახებ ესაუბრა, რომლის წარდგენაც ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში ასევე ცოტა ხნის წინ მოეწყო. ითქვა, რომ მწერალთა ეს წიგნები კომანში აღსრულებულ მღვდელ-მონაზონ ანდრიას პიროვნებასა, თუ ღვაწლზე სხვა გამოცემებთან, დადგმულ სპექტაკლსა და ფილმის სცენარებთან ერთად ხელს უწყობენ საზოგადოების მეტ ინფორმირებას, სწორ ფასეულობათა დამკვიდრებას, ამასთანავე კულტურულ-ესთეტური გემოვნების ჩამოყალიბებას. საღამოში მონაწილეობდნენ სკოლის უფროსკლასელები და მოწვეული სტუმრები, სოფლის მკვიდრნი, ბაღდათის გამგეობის წარმომადგენლები.

* * *

14 აპრილს, ბაღდათში, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში, საქართველოს სახელმწიფო ენის დღე და პოეტის გარდაცვალების 86 წელი აღინიშნა. მუზეუმის სამეცნიერო-შემოქმედებითმა ჯგუფმა ამ დღის აღსანიშნავად დამსწრე საზოგადოებას პოეტის უცნობი ლირიკული შედევრების ქართული თარგმანები წარუდგინა, რომლებიც თარგმნილი და შესრულებულია პოეტ ზაალ ებანოიძისა და კოტე კიკნაძის მიერ. როგორც პოეტის ახლახან გარდაცვლილი ქალიშვილი პატრისია ტომპსონი თავის წიგნში ,,მაიაკოვსკი მანჰეტენზე“ – წერდა, პოეტს არასდროს დავიწყებია ენა, რომლითაც ლაპარაკი დაიწყო – ქართული ენა. სწორედ მის ერთ-ერთ მშობლიურ და უსაყვარლეს ენაზე შესრულდა მისი შესანიშნავი ლექსების თარგმანები. საღამოში მონაწილეობდნენ ბექა კუჭუხიძე, კოტე კიკნაძე, ცირა ყურაშვილი, ნუგზარ კუჭუხიძე. ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს ღონისძიების მსვლელობისას ესტუმრნენ ტურისტები პეტერბურგიდან. მათ დაათვალიერეს მუზეუმი და დაესწრნენ აღნიშნულ საღამოს, რომელიც მათ პატივსაცემად რუსულ ენაზე გაგრძელდა. ტურისტების თხოვნით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელმა – ირაკლი გეგეშიძემ ქართულად წაიკითხა ნაწყვეტი მწერლის ერთ-ერთი პოემიდან, ამ კითხვის მიზანი იყო სტუმრებს მოესმინათ, თუ როგორ ჟღერს ვლადიმერ მაიაკოვსკის ლირიკა ჩვენს ენაზე.

გოგონათა ფიტნესის, ჯანმრთელობისა და კალათბურთის ტრენინგი

გოგონათა კალათბურთის ლიგის შექმნის იდეა წამოვიდა ბაღდათის №2 საჯარო სკოლის გოგონებისგან, რომელსაც მხარი დაუჭირა მშვიდობის კორპუსის მოხალისემ – არი ჰაიერსმა. რადგან ჩვენ გავლილი გვქონდა პროექტების დიზაინისა და მენეჯმენტის ტრენინგი, გადავწყვიტეთ, დაგვეწერა გრანტი და ამ პროექტისათვის ფრთები შეგვესხა.

პროექტი დაგვიფინანსა აშშ-ს მთავრობამ. ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა – ნინო მშვილდაძემ და ამავე ცენტრის უფროსმა სპეციალისტმა – ვანო ჟორჟოლიანმა მოგვიწყვეს სპორტის მასწავლებლებთან შეხვედრა. ჩვენ გავაცანით მათ ჩვენი პროექტი. მიუხედავათ იმისა, რომ ცოტა ეჭვის თვალით შეხედეს ამ პროექტის განხორციელებას, მხარდაჭერა მაინც გამოგვიცხადეს. მუნიციპალიტეტში შეიქმნა გოგონათა 9 გუნდი (14-16 წლის), რომლებსაც ავარჯიშებდნენ სპორტის მასწავლებლები, შემდგომში უკვე მწვრთნელები.

16-17 აპრილს ბაღდათის ახალგაზრდულ ცენტრში ჩავატარეთ ფიტნესის, ჯანმრთელობისა და კალათბურთის ტრენინგი, სადაც მოწვეულნი იყვნენ მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკრებულო, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; აგრეთვე ორგანიზაცია „სპორტი ყველასთვის“ პრეზიდენტი, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი – ქალბატონი მაია აზარაშვილი, იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე – რეზო რობაქიძე, იმერეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი – მამუკა ჩიხლაძე. მონაწილე გოგონებს ტრენინგი ჩაუტარეს ქალბატონმა მაია აზარაშვილმა, ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისეებმა, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ქალბატონმა მაია დენოსაშვილმა მათ გააცნო ჯანმრთელი კვების აუცილებლობა. კალათბურთის სპეციალისტმა, დოქტორმა მაიკლ ჰაფმა მწვრთნელებს ჩაუტარა ტრენინგი კალათბურთის წესების შესახებ. ტრენინგის ბოლოს გუნდებსა და მსაჯებს გადაეცათ კალათბურთის ფორმები. ასევე ბატონებმა რეზო რობაქიძემ და მამუკა ჩიხლაძემ მწვრთნელებს საჩუქრად გადასცეს წიგნები.

17 აპრილს ბაღდათის №2 საჯარო სკოლის სპორტის დარბაზში ჩატარდა ტრენინგის პრაქტიკული ნაწილი, სადაც გოგონებს მშვიდობის კორპუსის მოხალისეებმა მაიკლ ჰაფმა, ელიზაბეთმა, საფიმ, ტომმა, კოლტონმა და არიმ ასწავლეს კალათბურთის თამაშის სტრატეგიები, ბურთის გადაწოდება, დრიბლინგი, კალათში ბურთის ჩაგდება და სხვა. მწვრთნელებსა და მსაჯებს გააცვნეს თავიანთი მოვალეობები. წვრთნებს ესწრებოდა ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელი – ბატონი ირაკლი გეგეშიძე, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ვარჯიშის პროცესში.

გვინდა, ყველას დიდი მადლობა გადავუხადოთ, ვინც დაგვეხმარა ამ ტრენინგის წარმატებით ჩატარებაში.

გოგონათა კალათბურთის ლიგის პირველი თამაში გაიმართება 23 აპრილს ბაღდათის №2 საჯარო სკოლის სპორტის დარბაზში.

მანანა კაპეტივაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68
ტელ: 595 538 536; 595 452 803
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ჯოტორეიშვილი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე, ანა ავალიანი, ანჟელინა ჭავჭანიძე, ანა ფხალაძე

გაზეთი დაკაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“